

საბანკო მომსახურების პირობებს დამატოს შემდეგი შინაარსის 9.6.8 ქვეპუნქტი

- 9.6.8. **ბანკი** უფლებამოსილია, **კლიენტის** დამატებითი, წინასწარი ან შემდგომი თანხმობის ან აქცეპტის გარეშე, **ინფორმაცია** მიაწოდოს:
- 9.6.8.1 **ხელშეკრულებასთან** დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების და შესაბამისი უზრუნველყოფის ხელშეკრულების/გარიგების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მხარეებს.
- 9.6.8.2 მესამე პირებს: ა) **კლიენტის** მიერ **ბანკის** წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულების შედეგად **ბანკის** უფლებების განხორციელების მიზნით, ან/და **კლიენტის** მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე მონიტორინგის მიზნით; ბ) რომლებიც დაინტერესებულნი არიან **ხელშეკრულებიდან** ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებებიდან გამომდინარე **ბანკის** მოთხოვნების შემენით/სინდიცირებით ან/და **კლიენტის** ვალდებულებების გადაკისრებით.